საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7313
30/11/2022

7313-21-2-202211301703

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6068 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. შავღელეში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. რიონის ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში მოცემული საპროექტო ნაგებობა არ შეესაბამება პროექტის ჰიდროლოგიურ ნაწილში მოცემულ კალაპოტის წარეცხვის სიღრმის მნიშვნელობას, შესაბამისად წარმოდგენილი ქვანაყარი ბერმა ვერ უზრუნველყოფს ნაპირის მდგრადობის შენარჩუნებას რადგან მისი მოცულობა არ არის გათვლილი წარეცხვის სიღრმის სიდიდეზე;
- ქვანაყარი ბერმის ფრაქციული შემადგენლობის პროცენტული განაწილება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებს;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ გვ. 9-ზე მითითებულია, რომ აღნიშნული ფონური მდგომარეობის გათვალისწინებით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები, რომელიც მხოლოდ **5 თვის** განმავლობაში გაგრძელდება, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ მოახდენს ვიზუალურ-ლანდშაფტურ მდგომარეობაზე, ხოლო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გრაფიკის ცხრილში სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობად მითითებულია **4 თვე**, რაც საჭიროებს დაზუსტებას.
- სკრინინგის განცხადებაში (გვ. 36 და გვ. 50) წარმოდგენილი კოორდინატები არ ემთხვევა სკრინინგის განცხადებას თანდართულ Shp ფაილებს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო